**ხელშეკრულება № 43**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**(საქონლის შესყიდვა)**

ალაქი თბილისი 16 ოქტომბერი, 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №192 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის ნატო გოჩალეიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „ზოდი პლიუსი" (შემდგომში – მომწოდებელი), მისი დირექტორის **იგორ გაბაიძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია სკოლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით კარებების შესყიდვა ერთჯერადად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

*2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტია კარებები (CPV: 44221200). ხელშეკრულებას თან ერთვის შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი დანართის სახით (ინვოისი), როგორც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

*3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება*

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – **470,00 (ოთხას სამოცდაათი) ლარს.**

*4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიღება-ჩაბარების წესი*

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

*5.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები*

5.1. მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება შემსყიდველის მიერ ხდება მიწოდებულ საქონელზე ინვოისის მიხედვით;

5.2. ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ხელშეკრულების დადებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში;

5.3. ანგარიშსწორების ადგილია თბილისი.

*6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

6.1. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება;

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და საქონლის მიწოდება განახორციელოს შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

*7.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

*8.ფორს-მაჟორი*

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან

და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

8.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

*9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ნატო გოჩალეიშვილი სსიპ ქალაქ თბილისის №192 საჯარო სკოლის დირექტორი.

10.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

11.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით.

*12. სხვა პირობები*

12.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით,

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე,

12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით,

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე,

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ,

*13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| | |
|---|---|
| შემსყიდველი:<br>სსიპ ქალაქ თბილისის №192 საჯარო სკოლა<br>მის: თბილისი, დ/დიღომი, III მ/რ<br>ტელ: 253 53 92<br>სს ლიბერთი ბანკი<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>ა/ა: **GE10 LB0121 1100 2205 0000**<br>ს/კ: 211351838<br><br>სკოლის დირექტორი<br>ნატო გოჩალეიშვილი | მიმწოდებელი:<br>შპს „ზოდი პლიუსი"<br>მის: თბილისი, ბაგრატიონის ½ 5<br>ტელ: 577 27 67 18<br>სს ბანკი რესპუბლიკა<br>ბანკის კოდი: REPLGE22<br>ა/ა: **GE92BR0000 0106 2791 6671**<br>ს/კ: 202 424 313<br><br>დირექტორი<br>იგორ გაბაიძე |

ქ. თბილისი, აკ. წერეთლის №115ა
Tbilisi, Ak. Tsereteli ave. №115a
ტელ/ფაქსი (+995 32) 234 54 55
მობ: 577 27-67-18
ელ-ფოსტა: info@zodi.ge

www.zodi.ge

შპს "ზოდი პლიუსი"
ს/კ 202 424 313
"ZODI PLUS" LTD
სს "რესპუბლიკა" ბანკი 204856263
BANK REPUBLIC 204856263
ა/ა:
№GE92BR0000010627916671

ბანკის BIC კოდი:REPLGE22

bank BIC code: REPLGE22

# INVOICE

ინვოისი № 01

თარიღი: 16.10.14

| | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მდფ კარი 026(3200) ლაბ | 220×90 | 1 | 140ლ | 140ლ |
| 2 | მდფ კარი 801(3200) შოკ | 220×90 | 1 | 170ლ | 170ლ |
| 3 | კარის გადასაკეთის მოსასხურები | | 2 | 10ლ | 20ლ |
| 4 | კარის მინდვრის მოსასხურები | | 2 | 70ლ | 140ლ |
| 5 | ლამ. იატაკი 6335 | | 54,921 | 15ლ | 824ლ |
| 6 | | | | | |

სულ გადასახდელი: 1294ლ

ერთიათას ორას ოთხმოცდა თოთხმეტი ლარი.

თანხა მითითებულია დღგ-ს ჩათვლით და გადახდა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში

გამყიდველი:

დასახელება: შპს "ზოდი პლიუსი"
ს/კ: 202424313
მისამართი: თბილისი, ბაგრატიონის 5
ბანკის დასახელებ ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: 204856263
ანგ/ან. **GE92BR0000010627916671**

მყიდველი:

დასახელება: სსიპ. ქ. თბილისის სკ №192 საჯ. სკოლა.
ს/კ: 211351838
მისამართი: ლუკა დეკანოზ. მე-3 მ/რ.
ბანკის დასახელე
ანგ/ან.

შპს "ზოდი პლიუსი"
დირექტორი
(ან უფლებამოსილი პირი): ნ.დუდაური

## შესყიდული საქონლის მიღება-ჩაბარების

## ა ქ ტ ი № 18 - 14

თბილისი 16 ოქტომბერი, 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №192 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის **ნატო გოჩალეიშვილის** სახით და მეორე მხრივ შპს „ზოდი პლიუსი“ (შემდგომში – მომწოდებელი), მისი დირექტორის **იგორ გაბაიძის** სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ შეასრულა და მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გააჩნიათ.

| № | მიწოდებული საქონლის დასახელება (CPV: 44221200) | ერთ. ფასი, ლარი | რა-ბა | სულ ფასი, ლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | კარი (მდფ) 220X90 | 140.00 | 1 ც | 140.00 |
| 2 | კარი (მდფ, მინით) 220X90 | 170.00 | 1 ც | 170.00 |
| 3 | კარის გადაკეთება | 10.00 | 2 ც | 20.00 |
| 4 | მონტაჟი | 70.00 | 2 ც | 140.00 |
| | | | სულ | 470.00 |

**შემსყიდველი:**

**თბილისის** №192 საჯარო სკოლის დირექტორი

**ნ. გოჩალეიშვილი**

მიმწოდებელი:

შპს „ზოდი პლიუსის“-ის დირექტორი

**ი.გაბაიძე**

LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

| | | |
|---|---|---|
| საგადახდო დავალება #: 240 | 2 | GEL |
| თარიღი: | 2014 წლის 16 10, ხუთშაბათი | GEL 1294.00 |
| გადამხდელის დასახელება: | �ᲐᲨ= სსიპ ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლა | თანხა სიტყვიერად |
| ანგარიში (დებეტი): | GE10LB0121110022050000 | |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 | ერთი ათას ორას ოთხმოცდათოთხმეტი *GEL და 00* |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება: | | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: | ბანკის აღნიშვნები |
| მიმღების დასახელება: | შპს ზოდი პლიუსი | ბანკში შემოსვლის თარიღი: 16.10.2014 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 202424313 | ანგარიში (კრედიტი): GE92BR0000010627916671 | |
| მიმღების ბანკი: | სს"ბანკი რესპუბლიკა" ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი ბანკის კოდი: REPLGE22 | |
| გადახდის დანიშნულება: | კარებებისა და ლამ. იატაკის შესყიდვა (ინვოისი#01 16.10.14) | ხელმოწერა: |
| ხელმოწერა: | | |
| | ბ.ა. | |

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან